



MIA 6 20 00396489



14/02/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 11 თებერვლის N60-0120042831 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილულ იქნა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N25-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.008.003) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის დაპროექტების დოკუმენტაციის, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს არანაკლებ ოთხი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის 100 მმ ქსელზე სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტების გარკვეული რაოდენობა, შენობა გარე ხანძარსაწინააღმდეგო დამატებითი სახანძრო ჰიდრანტების მოწყობას არ საჭიროებს.

საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 8.6; 8.9

2. ვინაიდან სასტუმროს შენობის საერთო ფართობი აღემატება 10000მ^2 -ს, SP 267.1325800.2016 პუნქტი 9.1-ის და SP 4.13130.2013-ის პუნქტი 8.4, 8.6, 8.7, 8.9-ის მოთხოვნების თანახმად, გასათვალისწინებელია სახანძრო ავტომობილებისათვის შენობასთან ყველა მხრიდან მისასვლელი გზის მოწყობა. გზის სიგანე უნდა შეადგენდეს 6 მეტრს, ხოლო მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას 8-10 მეტრი. ამასთან ერთად გზ-ის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნეს სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე.

3. ავტოსადგომების სართულებს შორის დამაკავშირებელ პანდუსზე SP 267.1325800.2016 პუნქტი 9.1-ის და SP 4.13130.2013 პუნქტი 6.11.15-ის მოთხოვნების თანახმად გასათვალისწინებელია ტამბურ-რაბების მოწყობა, ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბების ნაცვლად დასაშვებია პირველი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ჭიშკრების, ავტომობილების სადგომი სათავსების მხრიდან ჰაერის ფარდის მოწყობით - საქმენი აპარატებიდან არანაკლებ 10 მ სიჩქარის და არანაკლებ 0,03 მ საწყისი სისქის და დასაცავი ღიობის არანაკლები სიგანის მქონე ჰაერის ნაკადის საშუალებით, ამასთან ერთად SP 7.13130.2013-ის პუნქტი 7.11 ქვეპუნქტი „ე“-ს შესაბამისად, ტამბურ-რაბების, ხანძარსაწინააღმდეგო ჭიშკრების და ჰაერის ფარდის ნაცვლად დასაშვებია გამოყენებული იქნეს კვამლსაწინააღმდეგო ეკრანები (ფარდები) დრენჟერის ფარდასთან ერთად, ფარდის ჩამოშვება გათვალისწინებული უნდა იქნეს დასაცავი ღიობის ნახევარ სიმაღლემდე (თქვენი გადასაწყვეტია, რომელ ვარიანტს გამოიყენებთ).

4. შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომში უნდა გათვალისწინდეს ხანძრის ჩაქრობის შემთხვევაში დაღვრილი წყლის მოცილებისათვის შესაბამისი არხების მოწყობა;
საფუძველი: SP154.13130.2013 პ.5.2.28

5. შენობაში განთავსებულ კიბისა და ლიფტის შესასვლელში მოწყობილ ტამბურ-რაბებში გათვალისწინდეს ჰაერის დაწნევის სისტემის მოწყობა.
საფუძველი: SP 113.13330.2016 პუნქტი 6.3.10

6. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 406.6.2-ის, SP 267.1325800.2016 პუნქტი 9.1-ის და SP 7.13130.2013 პუნქტი 7.2 „ზ“-ს მოთხოვნის თანახმად, ავტოსადგომებში გასათვალისწინებელია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა.

7. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 403.4.1, ქვეთავი 909, 910-ის და SP 267.13225800.2016 პუნქტი 9.22-ის მოთხოვნების თანახმად, სასტუმროს შენობის დერეფნებში გასათვალისწინებელია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების მოწყობა.

8. ვინაიდან საექსპერტო დასკვნის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასებასა და არქიტექტურულ პროექტს შორის არის შეუსაბამობა ამიტომ მთელს შენობაში

გათვალისწინებული იქნას ხანძრის ავტომატური ჩაქრობის სისტემების მოწყობა. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 903.2.8-ის მოთხოვნის თანახმად.

9. ვინაიდან შენობის ხანძრის ავტომატური ჩაქრობის სისტემა საჭიროებს სატუმბო სადგურის და სახანძრო რეზერვუარის მოწყობას, სატუმბო სადგურის მოწყობა გათვალისწინდეს შენობიდან ცალკე მდგომ შენობაში, შენობაზე მიშენებულ ან შენობაში ჩაშენებულ სათავსოში შენობის პირველ სართულზე, ცოკოლის სართულზე ან პირველ მიწისქვეშა სართულზე. სატუმბო სათავსს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი გარეთ გასასვლელი ან იმ კიბის უჯრედში შესასვლელი, რომელიც გარეთ მიემართება.

საფუძველი: SP 5.13130.2009 პუნქტი 5.10.9; 5.10.10; 10

10. ვინაიდან მრავალფუნქციური შენობის სიმაღლე აღემატება 28 მეტრს, მიწისქვეშა ავტოსადგომში და მთელ შენობაში გათვალისწინდეს შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის სისტემის, სახანძრო ონკანების მოწყობა.

საფუძველი: SP 154.13130.2013 პუნქტი 6.2.3; SP 10.13130.2009 ცხრილი 1;

11. ვინაიდან შენობა განეკუთვნება მაღლივი შენობების ჯგუფს და უნდა გააჩნდეს დაუკვამლიანებელი კიბის უჯრედები, საჭირო ხდება შენობის კიბის უჯრედში არანაკლებ 60 წუთის ცეცხლმედეგობის კარებების მოწყობა და მთლიანად კიბის უჯრედებში კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის, ჰაერის დაწნევის სისტემის მონტაჟი.

საფუძველი: SP 2.13130.2013 პუნქტი 5.4.16;

12. ვინაიდან შენობის კიბის უჯრედები უნდა იყოს აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემებით გათვალისწინდეს SP 10.13130.2009 პუნქტი 4.1.16-ის თანახმად, დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედებში სახანძრო ონკანების მოწყობა დაუშვებელია;

13. შენობის პირველ სართულზე (0.00) ნიშნულზე არსებული კიბის უჯრედებიდან საევაკუაციო გზებზე განლაგებული კარების გაღება გათვალისწინებული იქნას შენობიდან გასვლის მიმართულებით;

საფუძველი: SP 1.13130.2009 პუნქტი 4.2.6;

14. შენობაში გათვალისწინდეს ხანძრის აღმომჩენი ავტომატური სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი;

საფუძველი: SP 5.13130.2009 ცხრილი A1;

15. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 907.5, 907.5.2.2, 1024.1-ის და SP 52.13330.2016 პუნქტი 7.6.3, 7.6.9-ის მოთხოვნების თანახმად, შენობის საევაკუაციო გზებზე გასათვალისწინებელია, ხანძრის შემთხვევაში ადამიანთა მაუწყებლობის, ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

16. გათვალისწინდეს, რომ სასტუმროს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობების მონტაჟი, უნდა მოხდეს სათავსში, ან შენობის იმ ფართობში, სადაც განხორციელდება მომსახურე პერსონალის ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა;

საფუძველი: SP 5.13130.2009 პუნქტი 12.1.2; 12.2.

17. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები საჭიროებს სათადარიგო ელექტრომომარაგებას, შესაბამისად გასათვალისწინებელია სათადარიგო ელექტრომომარაგების საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ შენობის სათადარიგო ელექტრომომარაგება მოხდება დიზელ გენერატორის მეშვეობით, საჭირო ხდება SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნის დაცვა, საგენერატორო სათავსოს უნდა გააჩნდეს უშუალოდ გარეთ გასასვლელი და სხვა სათავსოებისაგან გამოყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით და გადახურვით.

18. ვინაიდან წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში განხილული არ არის შენობაში გათბობის მოწყობის საკითხი შესაბამისად ამ სისტემის მოწყობის დაპროექტების დოკუმენტაცია შესადგენია და წარმოსადგენია განსახილველად.

19. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია, შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომლებიც უნდა შეიცავდეს:

- ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
- ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
- გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
- დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
- ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
- ვ) შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;
- ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
- თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემის მოწყობის პროექტს.

გაცნობებთ რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'R. Vashanidze', with a large, stylized flourish extending from the end of the signature.